თამარ შენგელია

როვირა და ვირჯილის უნივერსიტეტი, ესპანეთი

20-24 მაისს, Erasmus + ადმინისტრაციული პერსონალის ინდივიდუალური მობილობის პროგრამის ფარგლებში, ვესტუმრე როვირა და ვირჯილის უნივერსიტეტს (Universitat Rovira i Virgili) ესპანეთი.

მობილობა მოიცავდა 1 სამუშაო კვირას, რომლის ფარგლებშიც, შესაძლებლობა მომეცა გამეზიარებინა გამოცდილება და ინფორმაცია განათლების სფეროს მნიშვნელოვან გამოწვევებზე. შეხვედრები დაიგეგმა პარტნიორი უნივერსიტეტის კოლეგებთან ადამიანური რესურსების დეპარტამენტიდან, კვლევის და ინოვაციების დეპარტამენტის დირექტორთან, ტრენინგების და განვითარების განყოფილების გუნდთან, კარიერულ და კურსდამთავრებულთა სამსახურის წარმომადგენლებთან და ასევე კოლეგებთან სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან.

პროგრამის ფარგლებში ასევე ვიმყოფებოდი როვირა და ვირჯილის უნივერსიტეტის ბელისენსის (Reus) კამპუსში, სადაც გავეცანი ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე შესვლის წინაპირობებს.

აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, მხარეებს შესაძლებლობა მოგვეცა ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა არსებული მიდგომები და პრაქტიკები რითაც ვხელმძღვანელობთ უნივერსიტეტში და განვიხილეთ შესაძლო თანამშრომლობის სფეროები. აღნიშნული პროგრამა იყო საუკეთესო შესაძლებლობა ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღების, გაზიარების და სამომავლო თანამშრომლობის დამყარებისთვის.